საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/24 „12" თებერვალი 2008 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
კრედიტორული დავალიანებების შესახებ

2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე ირიცხება 12 კრედიტორი ორგანიზაცია, რომელთა კრედიტორული დავალიანებები წარმოშობილია 2001-2004 წლებში. შესაბამისად, უფლებამოსილი პირებისთვის მოთხოვნის უფლების წარმოშობიდან გასულია სამ წელზე მეტი. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში კრედიტორების მხრიდან ვალდებულების შესრულების თაობაზე მოთხოვნა არ დაფიქსირებულა, ხოლო ერთ ორგანიზაციასთან ურთიერთშედარების აქტის საფუძველზე მოიხსნა დავალიანება.

ურთიერთშედარების აქტების საფუძველზე დავალიანება მოიხსნა ასევე 2 კრედიტორულ ორგანიზაციასთან, რომელთა მიმართ დავალიანებები წარმოშობილია 2005 წელს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ხოლო 144-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლის თანახმად, ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით იწვევს ვალდებულების შეწყვეტას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც ვალდებულ პირს, მიზანშეწონილად მიაჩნია, ხანდაზმული კრედიტორული დავალიანებები, ხანდაზმულობის ვადის გასვლის საფუძვლით, 75464.88 (სამოცდათხუთმეტი ათას ოთხასსამოცდაოთხი ლარი და 88 თეთრი) ლარის ოდენობით და ურთიერთშედარების აქტებით მოხსნილი კრედიტორული დავალიანებები 1598.55 (ათას ხუთას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და 55 თეთრი)

ლარის ოდენობით, თანდართული დანართის შესაბამისად, ჩამოწერილ იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბალანსიდან.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უზრუნველყოს აღნიშნული დავალიანებების ჩამოწერის მიზნით შესაბამისი საბუღალტრო გატარებების განხორციელება.

გიორგი ნიზანიშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მდივნის მოვალეობის შემსრულებელი

ხანდაზმული კრედიტორული დავალიანებები

01.01.2008 წ.მდგომარეობით

№	კრედიტორების დასახელება	ხარჯების მუხლი	წარმოშობის თარიღი	თანხა
1	2	3	6	7
1	სამშენებლო ტრესტი	040300	2004	9,572.00
2	შ.პ.ს. „პრეს-2002"	010401	2004	1,492.00
3	შ.პ.ს. „აი - ლაინი"	010402	2004	448.00
4	შპს "იტერა"	010402	2004	35,333.48
5	საქართველოს ტელეკომი	010402	2004	6,847.00
6	საქტელკომპლიუსი	010402	2004	2,148.00
7	პროფდეზინფექცია	010402	2004	211.00
8	ემერიკან თრეველ ინტერლაინი	010402	2001	526.00
9	სახელისუფლებო სპეცკავშირი	010402	2004	1,177.00
10	შ.პ.ს. „კანარგო სტანდარტოილი"	010406	2003	12,404.40
11	ვეგამოტორსი	010406	2004	5,306.00
	ჯამი			75,464.88

ურთიერთშედარების აქტების საფუძველზე მოხსნილი კრედიტორული დავალიანებები

01.01.2008 წ.მდგომარეობით

№	კრედიტორების დასახელება	ხარჯების მუხლი	წარმოშობის თარიღი	თანხა
1	2	3	4	5
1	ს/ს ტელენეტი	010402	2005	22.55
2	შ.პ.ს „აკა"	010406	2005	15.00
3	დასუფთავება	010402	2004	1,561.00
	ჯამი			1,598.55